

შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალების იჯარით აღების თაობაზე

ტენდერის პირობები

თავი I . ზოგადი მიმოხილვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების დანიშნულება - კომპანიის მიზნებისთვის
- ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების ტერიტორია - საქართველო
- ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღი - არაუგვიანეს 2018 წლის 1 სექტემბრისა
- ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენი - არაუმეტეს 5000 კმ
- იჯარის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წელი

თავი II. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ზოგადი ნაწილი - კომპანიის (პრეტენდენტის) რეკვიზიტები:

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ., ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ.

2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობები ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის თაობაზე საქმისწარმოების შესახებ;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი;
- ხელშეკრულების გაფორმებამდე გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია სატენდერო ხელშეკრულების 5%-ის ოდენობით.

3. კომერციული წინადადება

- მომსახურების ღირებულება - ყოველთვიური საიჯარო გადასახადის თაობაზე (აშშ დოლარში);

4. ტექნიკური წინადადება

- ტექნიკური დავალებითა და დანართი (ტექნიკური მახასიათებლებით) გათვალისწინებული პირობების და სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მონაცემების შესახებ.

თავი III. სატენდერო პროცედურები

1. ტენდერის ჩატარება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.

- 1.1. ტენდერის ჩატარების თარიღი - 2019 წლის 27 აგვისტო 15:00 სთ.
- 1.2. ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
- 1.3. ტენდერში მონაწილეებმა 2019 წლის 26 აგვისტოს 10:00 საათიდან 12:00 სთ-მდე დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება თანმხლებ წერილთან (დანართი 1) ერთად. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
- 1.4. მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ოფისი.
- 1.5. ტენდერში მონაწილეობას ღებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
- 1.6. კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გაიმართება ღია ვაჭრობა.

თავი IV. განსაკუთრებული პირობები

1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სატენდერო კომიტეტის მოთხოვნას.
2. ხელშეკრულება გამარჯვებულთან გაფორმდება ღია ვაჭრობის დასრულებიდან და სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი იქნება დისკვალიფიცირებული.
4. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
6. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
7. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

შავლეგ მიშველაძე
მობ : 599 711 177